

## Vakhtang Kobaladze

**From:** Vakhtang Kobaladze <vakhtang@csrdg.ge>  
**Sent:** Wednesday, December 5, 2018 12:35 PM  
**To:** 'თამარ ჩაჩანიძე'  
**Cc:** 'თეა შველიძე'; 'tamar'  
**Subject:** RE: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

გამარჯობა თამარ,

სეს-ის მესამე კვარტლის კონტროლის შედეგების განხილვის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მთელი რიგი ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის მოწოდებული. არის შეუსაბამობებიც სხვადასხვა ფაილებში შეტანილ მონაცემებს შორის, კერძოდ:

1. არ არის მითითებული რომელ საწარმოებში გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები.
2. დოკუმენტური შემოწმებისა და ზედამხედველობის სიებში არ არის მითითებული გამოვლინდა, თუ არა დარღვევები.
3. დოკუმენტური შემოწმების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის სიებში არ არის მითითებული დარღვევების გამოვლენის შემდეგ სააგენტოს მიერ გატარებული ზომები (ჯარიმა, საქმიანობის შეჩერება, პროდუქტის ბაზრიდან და მომხმარებლისაგან გამოთხოვა, მოსახლეობის ინფორმირება, არაგეგმური ინსპექტირება, პროდუქტის დაბინძურების წყაროების გამოვლენა, სამართალდამცავი ორგანოს ინფორმირება).
4. შემოწმების პარამეტრები არ არის მითითებული ცხრილებში: სასმელი წყალი, ალკოჰოლური სასმელები, არაცხოველური სურსათი, ვეტპრეპარატები, პესტიციდები.
5. შემოწმებული დაფასოებული ნიმუშების საიდენტიფიკაციო მონაცემები (პარტიის ნომერი, ან გამოშვების თარიღი, ან ვარგისიანობის ვადა) არ არის მითითებული შემდეგ ცხრილებში: სალმონელა, გმო, ლისტერია, სტაფილოკოკი, მცენარეული ცხიმი, ალკოჰოლური სასმელები, არაცხოველური სურსათი, ტრანსცხიმები, პესტიციდები.
6. არ არის მითითებული შპს ტომინოს პესტიციდ „გიფოსატთან“ დაკავშირებით კონკრეტულად რა დარღვევა გამოვლინდა.
7. შეუსაბამობებია დანართ 1-სა და სხვა დანართებში შეტანილ მონაცემებს შორის, კერძოდ:
  - დანართ 1-ის მიხედვით სალმონელაზე შემოწმებულია 130 ნიმუში, დანართ 3-ში მხოლოდ 26-ის მონაცემია მოწოდებული.
  - დანართ 1-ის მიხედვით ლისტერიაზე შემოწმებულია 50 ნიმუში, დანართ 3-ში მხოლოდ 10-ის მონაცემია მოწოდებული.
  - დანართ 1-ის მიხედვით სტაფილოკოკზე შემოწმებულია 40 ნიმუში, დანართ 3-ში მხოლოდ 8-ის მონაცემია მოწოდებული.
  - დანართ 1-ის მიხედვით არაცხოველური წარმოშობის სურსათის 143 ნიმუშია შემოწმებული და 5 დარღვევა აღმოჩენილი, დანართ 3-ში 173 ნიმუშის მონაცემია შეტანილი და 4 დარღვევის შესახებაა მითითებული.
  - დანართ 1-ის მიხედვით ვეტპრეპარატების ნარჩენებზე შემოწმებულია 290 ნიმუში, დანართ 3-ში 287-ის მონაცემია მოწოდებული.
  - დანართ 1-ის მიხედვით განხორციელდა 217 ზედამხედველობა, დანართ 5-ში 213-ის მონაცემია მოწოდებული.
  - დანართ 1-ის მიხედვით, მოხდა თაფლში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების შემოწმება, თუმცა, ნიმუშების სია არ არის მოწოდებული.

- დანართ 1-ის მიხედვით ყველში რძის ფხვნილის შემცველობაზე შემოწმებულია 1 ნიმუში, თუმცა, ამ სურსათის საიდენტიფიკაციო მონაცემები არ არის მოწოდებული.
- დანართ 1-ში არ არის მითითებული ალკოჰოლური სასმელების შემოწმების შესახებ, რომელთა სიაც დანართ 3-შია მოწოდებული.
- დანართ 1-ის მე-5 გვერდზე მითითებულია, რომ მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ან უკვე განთავსებულის გამოთხოვის შეუსრულებლობის გამო 2 ჯარიმაა გამოწერილი. თუმცა, ქვემოთ იმავე დოკუმენტში და მონიტორინგის სიებშიც საკმაოდ ბევრი მავნე სურსათის აღმოჩენის შემთხვევაა დაფიქსირებული. შესაბამისად, გაცილებით მეტი პირი უნდა დაჯარიმებულიყო.

გთხოვთ, სრული და შესწორებული მონაცემები მოგვაწოდოთ.

პატივისცემით,

ვახტანგი